ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№ 67

ქ. თბილისი; 8 სექტემბერი, 2020 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი – **გიგა გიგაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი – **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსი – **თამარ მელიქიშვილი**

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუს N33–ში არსებული უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქეები.

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
3. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ: N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუს N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
10. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.403) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
11. "ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
12. "ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.001.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
13. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
14. "ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
15. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
16. "ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში, ნაკვეთი (05/040) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.022 და N01.19.19.005.040.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
17. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.02.059.292) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
19. ”ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის“ (ს/ნ: 202899612) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
20. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.18.03.009.027) შპს „ვაინ რუმისთვის“ (ს/ნ: 404550703) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
21. „ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.031.117) მაკა თოფურიასთვის (პ/ნ: 01017007617) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
22. “ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.049) პირდაპირი განკარგვის წესით დანიილ ნადაშვილისთვის (პ/ნ: 01224095053) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. „ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.039) პირდაპირი განკარგვის წესით ჯემიკო ფოფხაძისთვის (პ/ნ:62001030583) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
24. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, წინა საარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ლევანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **წევრებს განუმარტა,** „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული **მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულება – განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრავს იმ შენობა-ნაგებობებისა და ადგილების ჩამონათვალს (დანართი N1 და N2), სადაც აკრძალულია სააგიტაციო მასალის გაკვრა.

ბატონმა ლევანმა ჩამოთვალა დადგენილების პროექტის პირველი და მე–2 მუხლებით განსაზღვრული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები, სადაც აკრძალულია სააგიტაციო მასალის გაკვრა:

- საკულტო შენობა-ნაგებობებზე (სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და სხვა),
- კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე (დანართი N1);

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.
- ქალაქის კულტურულ-ეკონომიკური ინტერესების, ცალკეული არქიტექტურული ობიექტების იერსახისა და მათი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების დაცვის მიზნით სააგიტაციო მასალის გაკვრა აიკრძალოს ასევე თანდართულ რუკაზე (დანართი N2) მონიშნულ ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე. ამასთან, რუკაზე მონიშნული ტერიტორიის გრაფიკულ გამოსახულებასა და ტექსტურ ნაწილს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება ტერიტორიის გრაფიკულ გამოსახულებას.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტის მე-3 პუნქტით **ხდება იმ ადგილების განსაზღვრა, სადაც ნებადართულია განთავსდეს სააგიტაციო მასალა** (პროექტის დანართი N3-ის შესაბამისად).

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევანმა აგრეთვე ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი მუხლის დეფინიცია, რომელიც ითვალისწინებს იმ შენობების და დაწესებულებების ჩამონათვალს, რომელზეც აკრძალულია სააგიტაციო მასალის გაკვრა, ჩამოყალიბდეს **საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მეორე პუნქტის მსგავსად** და ჩაემატოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების შენობები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა დღის წესრიგით გათვალისწინებული, რიგით მე–2 საკითხის – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის გადადება, მოცემული პროექტისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების/დეტალების უკეთ შესწავლისა და დაზუსტების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის თავმჯდომარის ინიციატივას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა იქნას გადადებული.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ **ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ვასილმა ისაუბრა პროექტის გამომწვევ მიზეზზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების სიმცირის გამო, შემუშავებულ იქნა საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს შემდეგს: პარკირების ოპერატორსა და ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებას ითანხმებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, რომელშიც, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შესაბამისი საზღაური პარკირების საფასურიდან. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განსაზღვრავს ზონალური პარკირების ადგილებს შესაბამის შენობა-ნაგებობაზე ან მიწის ნაკვეთზე.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, დადგენილების პროექტი პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2

პუნქტის მითითების მიზანშეწონილობასა და სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპროტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მოხსენებელმა ისაუბრა პროექტის მიღების მიზეზებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტომ და ითხოვა, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას (ავტობუსები (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)) მგზავრობისას შეღავათით სარგებლობის უფლება, უბნის ინსპექტორების გარდა, ასევე მიენიჭოთ, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის **დეტექტივებს (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებსაც,** სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას აგრეთვე მიმართა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ **„სოციალური მზრუნველობის სააგენტომ“** (ს/ნ 405382081), რომელმაც, სააგენტოს თანამშრომლების (25 უფროსი სოციალური მუშაკი, 95 სოციალური მუშაკი და 5 ფსიქოლოგი) მიერ, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, დედაქალაქის მასშტაბით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით - ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტროთი) ხშირი გადაადგილების გამო, ითხოვა აღნიშნულ პირებზე გავრცელდეს უფასო მგზავრობის უფლება.

მომხსებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელით დადგენილების მოქმედი რედაქციით განსაზღვრული პირების გარდა, რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლებას ასევე მიანიჭებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ **„სოციალური მზრუნველობის სააგენტო"–ს თანამშრომლებსა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს.**

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წრმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელის მითითებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების პროექტით, რის თანახმადაც, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება, დადგენილებით განსაზღვრული სხვა სუბიექტების გარდა აგრეთვე მიეცემათ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს" თანამშრომლებს.

ვასილ აბულაძის მითითებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილების მე-5 მუხლს ემატება „თ[1]" ქვეპუნქტი და განისაზღვრება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-81 დადგენილებით დადგენილი, შეღავათით მოსარგებლე, შესაბამისი კატეგორიების პირების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს" თანამშრომლებთან დაკავშირებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ისთვის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ისთვის **შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას მოახდენს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტო".**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ: N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსის" (ს/ნ **405159340**) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ განკარგულების პროექტი შემუშავებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები"–ს გათვალისწინებით, რომლის 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ბატონმა ლევანმა მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართა შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსმა" და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, თავის მხრივ კი, მომხსენებელმა დასძინა, რომ კომისიის მიერ, სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვის შედეგად, **გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ა) ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის მდებარე უძრავ ქონებაზე საცხოვრებლი კორპუსების მშენებლობასთან დაკავშირებით,მშენებლობის ნებართვები გაცმულ იქნა 2006–2007 წლებში, შემდეგი კოეფიციენტებით: **კ1=0,4; კ2=2.8; კ3=0.1; დაზარალებულებისთვის გადასაცემი ფართის საერთო ოდენობა შეადგენს 21168.83 კვ.მ.-ს**, მათ შორის:

ბ) შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსსა" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" შორის 2019 წლის 3 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიერ განხორციელებული სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს N01.18.06.018.053 საკადასტრო კოდზე აშენებულ/შექმნილ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში განთავსებულ, ჯამში 700 კვ.მ.-ს;

გ) განმცხადებლის მითითებით, **დასაკმაყოფილებელია დაახლოებით 250 ოჯახი,** ხოლო, ჯარიმების თანხა შეადგენს 30 000 ლარს;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიის აპარატის მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა ფართის მოთხოვნის უფლების მქონე პირებზე ვალდებულების სახით გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 20709.85 კვ.მ, ხოლო, ვალდებულების სახით გასაცემი ფართების საერთო რაოდენობაში კომისიამ არ გაითვალისწინა. ასევე მომხსენებლის თქმით, გადასაცემი ავტოსადგომების საერთო ფართი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით შეადგენს 178.44 კვ.მ.-ს. 14 ხელშეკრულებაში, რომელიც ეხება ავტოსადგომების გადაცემას, აღნიშნული არ არის ფართი. კომისიის აპარატმა იხელმძღვანელა აღნიშნული მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული ავტოსადგომის მინიმალური ფართობით - 18 კვ.მ. და მხედველობაში მიიღო 14 ავტოსადგომის საერთო ფართი - 252 კვ.მ;

ა) იმ ფართების რაოდენობა, რომელთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული შესაბამისი რეკვიზიტებით – სულ **6 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში გასაცემი ფართების ჯამური ოდენობა არის 458.98 კვ.მ;**

ბ) შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსსა" და შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფს" შორის 2019 წლის 3 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიერ განხორციელებული **სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჯამური ღირებულება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს N01.18.06.018.053 საკადასტრო კოდზე აშენებულ/შექმნილ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში განთავსებულ, ჯამში 700 კვ.მ.-ს;**

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი" დაუმთავრებელი მშენებლობისათვის ხელშემწყობი ღონისძიებებად ითხოვს წითელი ხაზების კორექტირებასა და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემა გაზრდილი პარამეტრებით: შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის 64 804.7 კვ.მ-მდე გაზრდა (კ2- 7.9).

მომხსენებელმა დასძინა, რომ კომისიის მიერ, გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, მოცემული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტი განისაზღვროს - (კ-2)- 7,4-**ით, თუმცა შენობა-ნაგებობის (სამივე ბლოკი) საერთო ფართობით - არაუმეტეს 57804.7 კვადრატული მეტრისა;

ბ) კოეფიციენტის დათვლის ნაწილში გათვალისწინებულ იქნას ,,ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,წესების" მე-18 მუხლი და კ-2-ის გაანგარიშებისას არ იქნას შეყვანილი აივნები, ტერასები, კიბის უჯრედები, ლიფტები და სხვა;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდეგ, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული აუდიტორის დასკვნა სამშენებლო ხარჯთან და ფართების სარეალიზაციო ფასებთან მიმართებაში

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა წარადგინოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ცენტრალურ გზებთან წვდომით;

ე) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, **სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 21 ივლისის N5 სხდომის ოქმით გათვალისწინებულ დაზარალებულთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ. ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში, ამ პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;**

მომხსენებელმა განაგრძო თხრობაა და ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ეთხოვა,** მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის **ხელშემწყობი**

ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში და ფიქსირდებოდეს შესაბამისი უძრავი ქონებების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ;

- დაინტერესებულმა პირმა - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსმა" - სარეალიზაციო ფართობების განკარგვა მოახდინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით;

- დაევალოს შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსს", უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტზე, თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, სადაც ასახული იქნება ამ პუნქტის „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხის პოზიტიურ მხარეებს, რომლებიც დადებითად გავლენას იქონიებს პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესებზე, ამასთან, კიდევ ერთხელ აღნიშნა, მოცემულ ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებული პირობები, უძრავი ქონების განკარგვისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ატარებს რისკებისგან დამზღვევ ხასიათს, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი/არასახარბიელო შემთხვევები.

კომისიის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა განკარგულების პროექტის მიმართ არსებულ ხარვეზი და მიუთითა, რომ სასურველია, ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი მუხლის „ვ" ქვეპუნქტის ერთ-ერთი წინადადების ფორმულირება და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის გაცვლის ფორმით პრივატიზებას, ლაშა გვაზავას, ვალერიან ქათამაძის, მანანა გაგუას, ნიკოლოზ გაგუას და ნიკოლოზ თოიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის ქუჩისა და კეკელიძის მიმდებარედ არსებული 1042.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

თამარმა ისაუბრა საკითხის ირგვლივ და აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულმა პირებმა განცხადებებით მიმართეს მუნიციპალიტეტის მერიას, მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქუჩისა და კეკელიძის მიმდებარედ არსებული 1042.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, **01.14.12.003.058** საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, **ვრცელდება სატყეო ზონა.**

- ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებიდან ირკვევა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, ერთ-ერთ **შეუსაბამო ქალაქთმშენებლობით დოკუმენტად მიჩნეულ იქნა ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისათვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა.** მოცემული ტერიტორია წარმოადგენს, ლანდშაფტისა და გარემოსდაცვისათვის მნიშვნელოვან არეალს, გააჩნია კულტურულ-ისტორიული ღირებულება, გააჩნია წყალშემკრები ხასიათი და მასზე დაგეგმილი განვითარებები ხელს უწყობს ქალაქის მიმდებარე არეალებისათვის ბუნებრივი კატასტროფების რისკების ზრდას. ამასთან მოცემულ არეალს გააჩნია შეზღუდული წვდომა სატრანსპორტო-ინრასტრუქტურულ და კომუნალურ რესურსებზე, რომლებიც ვერ უზრუნველყოფფენ ტერიტორიაზე ქალაქგეგმარებით პროექტით დაგეგმილ განვითარებებს.

- 01.14.12.003.058 საკადასტრო ერთეულზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის რუკის მიხედვით ასევე ვრცელდება **გამწვანებული ტერიტორიების ფენა.** მიწის ნაკვეთზე ასევე ვრცელდება ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა და გეოდინამიკური საფრთხეების არეალი.

- მიწის ნაკვეთის ნაწილზე N39-18 დადგენილების დამტკიცებამდე ვრცელდებოდა **საცხოვრებელი ზონა 3, ხოლო ნაწილზე - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.**

მომხსენებელმა ისაუბრა, უფლებამოსილი ორგანოების პოზიციებზე და აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა 01.14.12.003.058 საკადასტრო ერთეული საკუთრებაში გადაეცეს მუნიციპალიტეტს. ხოლო, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილით, მოქალაქეთა საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ვრცელდება სატყეო ზონა, ასევე მითითებულ მიწის ნაკვეთზე შეუსაბამო ქალაქმშენებლობით დოკუმენტად მიჩნეულია ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისათვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირეების გეგმა, დაინტერესებულ პირებს ეზღუდებათ თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა.

თამარმა აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთები შეფასებულ იქნა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, შემდეგი სახით:

- 2020 წლის 29 მაისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **01.14.12.003.058** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის

მთლიანი 1042.00 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება 2020 წლის 29 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **214.652 (ორას თოთხმეტი ათას ექვსას ორმოცდათორმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტ თანხად ეროვნულ ვალუტაში 683.989 (ექვსას ოთხმოცდასამი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა) ლარი).**

აღსანიშნავია, რომ ამავე შეფასების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე დაყრდნობით ხსენებული მიწის ნაკვეთი განეკუთვნება სატყეო ზონას, რომლი კოეფიციენტებია: K1:0; K2:0; K3:0.

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთი შეფასდა განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ახალი გენგეგმის მიღებამდე (2014-2018) წლებში არსებული ფუნქციური ზონის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გენგეგმის მიღებამდე ფუნქციური ზონები აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში განიაზღვრებოდა საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), რომლის კოეფიციენტებია: K1:0,5; K2:1,5; K3:0,2 და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონით, რომლის კოეფიციენტებია K1:0; K2:0; K3:0, განაშენიანების რეგულირების გეგმაზე დაყრდნობით ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი სტატუსი შესაფასებელ მიწის ნაკვეთზე მოიხსნა და **მთლიანად გავრცელდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)**, რომლის K2 კოეფიციენტი განისაზღვრა 1.8-ით. აღნიშნული გარემოება ექსპერტების მიერ გათვალისწინებულ იქნა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დადგენისას.

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ახალი გენგეგმის მიღებამდე (2014-2018) წლებში არსებული ფუნქციური ზონის მიხედვით შეფასება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ახალი გენ-გეგმით მიწის ნაკვეთის მდგომარეობა გაუარესდა სამშენებლოდ განვითარების კუთხით.

- 2020 წლის 23 ივლისის ექსპერტიზის დასკვნით, **01.15.04.020.006.01.597** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება) მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 23 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 762,829 (შვიდას სამოცდაორი ათას რვაას ოცდაცხრა) ლარით.

ქალბატონმა თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად – 107 000 (ას შვიდი ათასი) ლარის განსაზღვრა, რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 107 000 (ას შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა № 49-ში, მე-2 სართულზე, ბინა № 9-ში მდებარე 58.84 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ნატალია დოდაშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

თამარმა ყურადღება გაამახვილა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- მოქალაქე ნატალია დოდაშვილმა განცხადებით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, თვითნებურად დაკავებული ფართის, მდებარე: დაბ. წყნეთში, გრიშაშვილის ქ. 49, ბ. 9, პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის მიზნით, თავის მხრივ კი, ვაკის რაიონის გამგეობამ მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ნატალია დოდაშვილის საკითხის შემდგომი მსვლელობის მოთხოვნით;
- დაინტერესებული მოქალაქის მიერ, ოჯახთან ერთად, 1990–1993 წლებიდან, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც, ვაკის რაიონის გამგეობა-წყნეთის საუბნო განყოფილების წერილით, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ შედგენილი დოკუმენტით და შესაბამისი მოქალაქეების მიერ, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით.

მოხსენების მიწურულს თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №49-ში, მე-2 სართულზე, ბინა № 9-ში მდებარე 58.84 კვ. მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ნატალია დოდაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, აგრეთვე, პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართულობის, ამავე, პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის აღვნიშვნის, აგრეთვე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუს N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუსი N33-ში მდებარე უძრავი ქონების, დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

თამარმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებზე:

- მოქალაქეებმა: გურანდა ბერძენიშვილმა, თამარი ხუსკივაძემ, ლალი ოყუჯავამ და მელო მამალაძემ განცხადებებით მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის

რაიონის გამგეობას, თვითნებურად დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის მიზნით;

- დაინტერესებულ პირთა **2000-2009 წლებიდან** ცხოვრების ფაქტს ადასტურებს როგორც მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიერ შედგენილი დოკუმენტი.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს **მიერ გაცემული ინფორმაციით, აღნიშნული პირები, მონაცემთან ბაზაში** დევნილად რეგისტრირებული არ არიან.

- ამასთან, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მკ/რ, კორპუსი N33-ში მცხოვრები 12 ოჯახისთვის ბუნებრივი აირით და ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი მოხდეს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების გამრიცხველიანება, ამასთან, სააგენტო მზადაა, განიხილოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრების უფლებით გადაცემის საკითხი.

თამარმა ყურადღება გაამახვილა ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის წერილებში აღნიშნულია რომ შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოში 2015 წლის 7 დაიწყო და მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, **ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მიკრო რაიონი, კორპუსი №33-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ბინებში უკანონო შეჭრის ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე ჩატარებულია საგამოძიებო მოქმედებები, დაკითხულია მოწმეები და რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის, ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.**

მომხსენებელმა დასძინა, რომ სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსა და ვაკის რიაონის გამგეობას შორის წარიმართა შესაბამისი მიმოწერა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც გამგეობის პოზიციის, ასევე, დაინტერესებულ პირთა შესახებ მონაცემების დაზუსტების თვალსაზრისით.

თამარმა აღნიშნა, რომ სსიპ - **სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი №33-ში მდებარე 4 (ოთხი) ერთეული ფართი** (საკადასტრო კოდი:

#01.14.16.012.012.01.018, #01.14.16.012.012.02.004, #01.14.16.012.012.01.011, #01.14.16.012.012.01.015)

თამარმა დასძინა, რომ მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა, თბილისის განკარგულების დანართი №1-ით წარმოდგენილ პირთათვის და საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

მოხსნების დასასრულს თამარმა დასძინა, რომ საკრებულოს მიერ განკარგულების მიღებისა და დამტკიცების შემთხვევა, აღნიშნული დოკუმენტი გაეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის პირთა ნაწილში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ბინებში უკანონო შეჭრის ფაქტზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხი დადებითად შეაფასა კომისიის თავმჯდომარემ.

აღსანიშნავია, რომ სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული მოქალაქები, რომლებმაც უდიდესი მადლობა გადაუხადეს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომისიის წევრებსა და სამდივნოს, აგრეთვე, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებს, საკითხის ამგვარი მსვლელობისა და გულითადი დახმარებისათვის.

ბატონმა ლევანმა ასევე ყურადღება გაამახვილა განკარგულების პროექტის მიმართ არსებულ ხარვეზებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატება, პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორება და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროქტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.403) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში, მე-8 სართულზე, ბინა N403-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 17.06 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ვასილი ლაბარტყავასთვის გადაცემას და ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა მოქალაქე **ვასილი ლაბარტყავამ** და ითხოვა ქალაქ თბილისში, **პეკინის გამზირი, N41გ-ში,** მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული **17 კვ.მ** საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო, ქონების მართვის სააგენტოს მიმართვის შესაბამისად საბურთალოს რაიონის გამგეობამ, გამოიკვლია და შესაბამისი მასალები გაუგზავნა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.
- დაინტერესებული პირის მიერ 1999 წლიდან უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, აგრეთვე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების **მიერ შედგენილი დოკუმენტით.**
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **ვასილი ლაბარტყავაზე** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

დასასრულს თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის და საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატების, პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით აღნიშვნა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი," ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში, 1 სართულზე, ბინა N8-ში მდებარე 85.12კვ.მ ფართობის უძრავი ქონების მოქალაქე თამუნა გუნავასათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას, **აგრეთვე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **თამუნა გუნავამ, 2009 წლიდან თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე:** ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში, 1 სართულზე, ბინა N8-ში მდებარე **85.12 კვ.მ** მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, პრივატიზების მიზნით, შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით.

- მოქალაქის მიერ უძრავ ქონებაში 2008–2009 წლებიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველო, შესაბამისი წერილით, აგრეთვე, აღნიშნული პირის მეზობლები სანოტარო წესით შედგენილი აქტით.

- მოქალაქე თამუნა გუნავა მოცემულ მისამართზე ცხოვრობს მეუღლესთან, სამ მცირეწლოვან შვილთან და დედასთან ერთად. საჯარო რეესტრიდან მონაცემებით, **ზემოაღნიშნულ პირებთან დაკავშირებით საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.**

- ვაკის რაიონის გამგებელმა მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, არადევნილი სტატუსის მქონე მოქალაქეს **თამუნა გუნავას,** რომელიც მრავალი წელია ფლობს და სარგებლობს მეუღლესთან, სამ მცირეწლოვან შვილთან და დედასთან ერთად, ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში, 1 სართულზე, ბინა N8-ში

მდებარე **85.12 კვ.**, უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს საკუთრებაში.

დასასრულს თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას თამუნა გუნავასათვის და საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორება და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროქტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.001.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში, პირველ სართულზე, შენობა N2-N3-ში მდებარე 68.68 კვ.მ.უძრავი ქონების მოქალაქე ანა ხახანაშვილის საკუთრებაში პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემობებზე:

- **ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ანა ხახანაშვილმა** მისი ოჯახის მიერ 40 (ორმოცი) წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, კერძოდ,

ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში, პირველ სართულზე, შენობა N2-N3-ში არსებული 68.68 კვ.მ. საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით და ითხოვა უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა.

- უძრავ ქონებაში, მოქალაქის მიერ წლების განმავლობაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის **სამმართველო, აგრეთვე, ქ. თბილისში მარტყოფის ქ. N23-ში მცხოვრები მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებები. ერთ–ერთი მოქალაქე თავის განცხადებაში ადასტურებს,** რომ ანა ხახანაშვილის დაბადებამდე აღნიშნულ საცხოვრებელ ბინაში 1971 წლიდან დღემდე ცხოვრობენ ანა ხახანაშვილის ოჯახის წევრები.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით **ანა ხახანაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.**

დასასრულს თამარმა დასძინა, რომ **ისნის რაიონის გამგეობამ,** შუამდგომლობის წერილით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში, პირველ სართულზე, შენობა N2-N3-ში არსებული ფართის დაინტერესებული პირისათვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ანა ხახანაშვილისათვის სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით აღნიშვნა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროქტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისი, **სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა N2–ში, ბინა N2, 70.03 კვ.მ ფართის მოქალაქე ლიანა სარქისიანისათვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, შესაბამის მასალებთან ერთად, წარედგინა დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქე ლიანა სარქისიანის განცხადება, სადაც აღნიშნული პირი ითხოვს, თავის ოჯახთან ერთად 22 (ოცდაორი) წლის მანძილზე დაკავებული ფართის პრივატიზების მიზნით, შუამდგომლობის გაწევას.

- **უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს** (დაახლოებით 20–22 წლის მანძილზე) **ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველო, შესაბამისი საოქმო ჩანაწერით, აგრეთვე, მეზობლები, ხელმოწერილი განცხადებით.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე **ლიანა სარქისიანის სახელზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის,** თუმცა, აღნიშნული პირის ოჯახის წევრის – სალომე თეთრაშვილის სახელზე რეგისტრირებულია, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2–ში მდებარე ბინა N4, 39.28 კვ.მ. ფართი ხოლო, კარლო თიგიშვილის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია, ქალაქ თბილიში, დიდ ლილოში, სასოფლო–სამეურნეო 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2–ში, ბინა N2–ის, 70.03 კვ.მ. ფართის, მოქალაქე ლიანა სარქისიანისათვის სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატების, პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით აღნიშვნა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროქტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,“ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა № 107ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 12.54 კვ. მ. ფართობის უძრავი პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ნანული ხეჩუაშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად გადაცემას, ასევე, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მოქალაქე ნანული ხეჩუაშვილმა განცხდებით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, დაკავებული უძრავი ფართის ქ. თბილისში, ყვარლის ქუჩა № 107ბ, ბინა № 11ა-ში მდებარე 12.54 კვ.მ. მისთვის, პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობამ მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, უძრავი ქონების მოქალაქე ნანული ხეჩუაშვილისთვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად გადაცემის საკითხის თაობაზე.
- უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ შედგენილი დოკუმენტით, ასევე, სამი მოქალაქის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №107ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 12.54 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე ნანული ხეჩუაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის და

მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით აღნიშვნა, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზების გასწორება, ხოლო პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა–ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, **მოქალაქეებისათვის: ანანო ზაქრაძე, ლეონა ყუფუნია, დალი არჩვაძე, ქეთევან მუშკუდიანი, დავითი ლაფაჩიშვილი, ნიკა გიგნაძე, შორენა მიშელაძე, ლალი თევზაძე,** პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- **ვაკის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს** და აცნობა, რომ გამგეობას წარედგინა ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებები, სადაც ითხოვდნენ, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა–ში, თვითნებურად დაკავებული ფართების პრივატიზებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემდგომი რეაგირების მიზნით,

ქონების მართვის სააგენტოს ასევე წარედგინა, საკითხთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

- **უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული ზემოაღნიშნული პირები, გამგეობაში წარდგენილ განცხადებებში მიუთითებენ, რომ გადასაცემი საცხოვრებელი ფართები ოჯახებთან ერთად დაკავებული აქვთ 2012 წლიდან.**

- **უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე–საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე–2 განყოფილება, შესაბამისი საოქმო ჩანაწერებით, აგრეთვე, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერილი განცხადებით.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, **2010–2012 წლებიდან, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ ზემოაღნიშნულ პირთა სახელზე, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების დასასრულს, თამარმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა–ში მდებარე უძრავი ქონების, ამავე განკარგულების დანართში მითითებული პირებისათვის, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატება, პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით აღნიშვნა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში, ნაკვეთი (05/040) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.022 და N01.19.19.005.040.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040-ში), მე-4 სართულზე მდებარე 63.42 კვ.მ და მე-4 სართულზე, ბინა N22-ში მდებარე 8.64 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე თენგიზი მამულაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას, ამასთან, **ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **თენგიზი მამულაშვილმა, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე:** ქ. თბილისი, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040-ში), მე-4 სართულზე მდებარე 63.42 კვ. მ და მე-4 სართულზე, ბინა N22-ში მდებარე 8.64 კვ.მ პრივატიზებასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, სამგორის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა, არადევნილი სტატუსის მქონე **თენგიზი მამულაშვილისთვის,** რომელიც მრავალი წელია ფლობს და სარგებლობს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს საკუთრებაში.

- უძრავ ქონებაში, მოქალაქის მიერ, 1992 წლიდან ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პირველი განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტით, ასევე, მოქალაქეების: გურამი კაპანაძის, აიშე კვაშილავას და გივი ილაშვილის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით.

- მოქალაქე დავით მახარაძის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებს, რომ თენგიზი მამულაშვილი 1992 წლიდან მუშაობდა სახ. საწარმო „მტკვარში" და ამავე საწარმოს ხელმძღვანელობის თანხმობით დროებით ცხოვრობდა საწარმოს ადმინისტრაციულ შენობაში მისამართზე: ქალაქი თბილისი, გახოკიძის ქუჩა N8, სადაც დღემდე ცხოვრობს იგი.

- საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად, მოქალაქე თენგიზი მამულაშვილისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება თბილისის სარეგისტრაციო ზონაში რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების დასასრულს, თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას თენგიზი

მამულაშვილისათვის და საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროქტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა № 2-ში, ბინა № 3-ში, მდებარე 41 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ლამარა სარქისიანისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად გადაცემას. ამასთან, თამარმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მოქალაქე ლამარა სარქისიანმა განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას, მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, გამგეობამ შუამდგომლობის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას, განცხადებით წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით;
- უძრავ ქონებაში 2000 წლიდან ცხოვრების ფაქტი დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის

მთავარი სამმართველოს მიერ შედგენილი დოკუმენტით, აგრეთვე, შესაბამისი მოქალაქეების მიერ, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით.

დასასრულს თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა № 2-ში, ბინა № 3-ში, მდებარე 41 კვ. მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, მოქალაქე ლამარა სარქისიანისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორების, მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების, ამავე პუქნტში საპრივატიზებო საფასურის აღნიშვნისა და პროქტის მე–2 მუხლის სტილისტურის თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.02.059.292) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

თამარმა აგრეთვე ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე **1089 კვ.მ** მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ტაძრის მშენებლობის მიზნით.
- სსიპ - ურბანული განვითარების სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის განკარგვა, ტაძრის მშენებლობის მიზნით.
- სსიპ-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაიცა რეკომენდაცია, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, 1089კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემაზე, ეკლესიის მშენებლობისთვის.

თამარმა დასძინა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი. ასევე, აღნიშნა, რომ** მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ და მე–2 პუნქტებში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ.თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ.აღმაშენებლის გამზ.N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის" (ს/ნ: 202899612) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე/ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №86-90-ის მიმდებარედ არსებულის 634 კვ.მ. ტერიტორიიდან 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის" იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემას, ღია კაფეს (მოწყობის) მიზნით.

თამარმა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი დეტალები გააცნო კომისიის წევრებს:

- შპს „მარჯანის"დირექტორის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დავით აღმაშენებლის გამზირი №86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით; ზემოაღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარე შენობის 1 სართულზე არსებულ 254 კვ.მ. ფართს.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სააგენტოს ეცნობა, რომ საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან არსებული 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებულ იქნა მიწის ნაკვეთის და ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე/დ. აღმაშენებლის გამზ.№ 86-90-ის მიმდებარედ არსებული, №01.16.05.002.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ორთოფოტოზე მონიშნული 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანმა წლიურმა საბაზრო საიჯარო ქირამ 2020 წლის 14 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 10944 ლარი;

დასასრულს თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული, 634 კვ.მ. რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „მარჯანისთვის"გადაცემა 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - **11000 (თერთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №20.935.1152 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების დეტალური მონაცემების მითითების მიზანშეწონილობასა და პროექტის მე–3 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.18.03.009.027) შპს „ვაინ რუმისთვის" (ს/ნ: 404550703) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. № 10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინ რუმისთვის" იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ხუთი წლის ვადით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

თამარმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ დეტალებზე:

- შპს „ვაინ რუმის" დირექტორმა განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. №10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის

აღნიშნული შპს-სთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 10 წლის ვადით; ხსენებული კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარე შენობის პირველ სართულზე 21.99 კვ.მ. ფართს;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიციით, სააგენტოს ასევე ეცნობა, რომ საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და მისი 2020 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მაგიდების და სკამების დროებით განთავსების რეკომენდაციით, ქოთნების გარეშე;

თამარმა აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთი შეფასებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რომლის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1080 (ათას ოთხმოცი) ლარით;

დასასრულს კი მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული, 6 კვ.მ. ფართობის რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, შპს „ვაინ რუმისთვის" გადაცემა 5 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასური - **1100 (ათას ასი) ლარის** ოდენობით,

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს №20.898.1112 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითებისა და ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების დეტალური მონაცემების აღვნიშვნის მიზანშეწონილობაზე, აგრეთვე, განკარგულების პროექტის მე–3 პუნქტში სიტყვების" - „კანონმდებლობით დადგენილი წესით" ჩამატებასა და აღნიშნული პუნქტების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.14.031.117) მაკა თოფურიასათვის (პ/ნ: 01017007617) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში სულხან ცინცაძის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მოქალაქე მაკა თოფურიასთვის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით 5 წლის ვადით გადაცემას მსუბუქი კონსტრუქციის კაფე-ბარის მოწყობის მიზნით, ამასთან, თამარმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ დეტალებზე:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა მოქალაქე მაკა თოფურიამ და მოითხოვა ქალაქ თბილისში სულხან ცინცაძის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, მსუბუქი მეტალის კონსტრუქციისა და დასაკეცი სისტემის მქონე კაფე-ბარის მოსაწყობად; აღნიშნული მოქალაქის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N5-ის პირველ სართულზე არსებულ ფართი (165 კვ.მ).
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, ქ. თბილისში, ცინცაძის ქ. №5-ის მიმდებარედ არსებული, №01.10.14.031.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 103 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2020 წლის 12 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 24 720 ლარს.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია ქ. თბილისში, ცინცაძის ქ. №5-ის მიმდებარედ არსებული, №01.10.14.031.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 103 კვ.მ მიწის ნაკვეთზე კაფისთვის წარდგენილი ესკიზის გათვალისწინებით კონსტრუქციის განთავსების მიზნით იჯარით განკარგვა, იმ პირობით თუ დაცული იქნება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მოხსენების დასასრულს თამარმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული, 103 კვ.მ ფართობის რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის №01.10.14.031.117 იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით მოქალაქე მაკა თოფურიასთვის 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემა, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში აღინიშნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 აგვისტოს №20.968.1195 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების დეტალური მონაცემები;

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტროკოდი: 01.15.05.010.049) პირდაპირი განკარგვის წესით დანიილ ნადაშვილისთვის (პ/ნ: 01224095053) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, დანიილ ნადაშვილისთვის იჯარის ფორმით **5 (წლის) ვადით**, სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფის მოწყობის მიზნით.

თამარმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მოქალაქე დანიილ ნადაშვილმა, რომლის საკუთრებაშია, ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №26-ში მდებარე უძრავი ქონება, მინდობილი პირის სიმონ ნადაშვილის მეშვეობით, განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ვინაიდან დანიილ ნადაშვილსა და შპს „ალაზანს" შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, განმცხადებელმა ითხოვა იჯარის ხელშეკრულების გაფორმება საკუთარ ანუ **დანიილ ნადაშვილის (პ/ნ 01224095053)** სახელზე, როგორც საიჯარო ფართის მომიჯნავე საცხოვრებელი ფართის მფლობელზე, შემოთავაზებული საიჯარო ქირის – 2 340 ლარის ოდენობის სანაცვლოდ.
- მეიჯარე დანიილ ნადაშვილს და მოიჯარე - შპს „ალაზანს" შორის გაფორმებული უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით, იჯარის ობიექტი მოიჯარეს გადაეცა 17.02.2020-დან 17.01.2021-მდე.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, №01.15.05.010.049 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საიჯარო ქირა 2020 წლის 29 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **2 340 ლარს.**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცა **დადებითი შეფასება** ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N24-26-ის მიმდებარედ, შემდგომში ღია კაფის მოწყობის მიზნით 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს - განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდები და სკამები.

დასასრულს თამარმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარვის წესით, დანიილ ნადაშვილისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა 5 (ხუთი) წლის ვადით საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 340 (ორი ათას სამას ორმოცი) ლარის სანაცვლოდ, ღია კაფის მოწყობის მიზნით და საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურის რედაქტირება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.039) პირდაპირი განკარგვის წესით ჯემიკო ფოფხაძისთვის

(ს/ნ:62001030583) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ჯემიკო ფოფხაძისთვის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემას ღია კაფის მოწყობის მიზნით.

თამარმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მიმართა ჯემიკო ფოფხაძემ და ითხოვა ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემა ღია კაფის მოწყობის მიზნით;
- ზემოაღნიშნული პირის თანასაკუთრებაშია ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონება 100 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, ასევე, წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისში, დ. ყიფიანის ქ. N6-ში მდებარე უძრავი 100 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის თანამესაკუთრის, ბადრი პანჩიკიძის თანხმობა (დამოწმებული ნოტარიუს მაია წიკლაურის მიერ, რეგ. N140476454), ჯემიკო ფოფხაძის მიერ ღია კაფის მოწყობასთან დაკავშირებით;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქ. თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული, N01.13.07.002.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 35 კვ. მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2020 წლის 13 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4200 ლარს;
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად იჯარით განკარგვა, შემდგომში ღია კაფის მოწყობის მიზნით, იმ პირობით თუ დაცული იქნება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები; გარდა ამისა, სამსახურმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის და ესკიზური ნახაზის მიხედვით არ არის დაცული ქალაქ თბილისის საკრებულიოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მოთხოვნები, კერძოდ ფეხით მოსიარულეთათვის არ არის დატოვებული თავისუფალი გასასვლელი, სასურველია ტერიტორიის შემომღობავი საყვავილეები მოეწყოს ერთ მხარეს შენობისკენ;

მოხსენების დასარულს თამარმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, დაინსტერესებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მოქალაქე ჯემიკო ფოფხაძისათვის გადაცემა, 5 (ხუთი) წლის ვადით,საიჯარო ქირის წლიური საფასური- **4200 (ოთხი ათას ორასი) ლარის ოდენობით.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურმა განიცადოს რედაქტირება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად ასევე, პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს N 20.899.1110 განკარგულების სათაური.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქი“ შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-482-1-23724 ხელშეკრულებაში ცვლილებას.

ქალბატონმა მარიამმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

- ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი, IV მიკრო/რაიონსა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარე დარსებული 117,955 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები.
- აუქციონის შესაბამისად, შეძენილი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა **23,323,170.00 (ოცდასამი მილიონ სამასოცდასამი ათასას სამოცდაათი) ლარი,** რომელიც კომპანიამ დაფარა 2019 წლის 7 ოქტომბერს და აღნიშნული დასტურდება სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობებით.

- ამასთან, ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს დაეკისრა პრივატიზებულ ქონებაზე **8,000,000.00 (რვა მილიონი) აშშ დოლარის** (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით ინვესტიციის განხორციელება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის ვადაში განსაზღვეული გრაფიკის შესაბამისად.

მარიამმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 10 აგვისტოს კომპანიამ განცხადებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე უძრავი ქონება დაკავებული აქვთ უკანონოდ მოსარგებლე პირებს, რომელთა ეტაპობრივ გაყვანას ტერიტორიიდან უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერია. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის მარტის თვემდე უძრავ ქონებაზე ვერ მოხერხდა რაიმე სახის არსებითი საინვესტიციო სამუშაოების ჩატარება. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეულ მაფორს-მაჟორულმა გარემოებებმა უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გადავადება წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად:

- არაუგვიანეს 2021 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება არანაკლებ 1 მილიონი აშშდოლარის ოდენობით;
- არაუგვიანეს 2022 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება ჯამურად არანაკლებ 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით;
- არაუგვიანეს 2023 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება ჯამურად არანაკლებ 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით;
- არაუგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრისა - შესრულდეს საინვესტიციო ვალდებულება ჯამურად 8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

მარიამმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ განმცხადებელმა ლარის მიმართ აშშ დოლარის არაპროგნოზირებადი და მერყევი კურსის გათვალისწინებით, ითხოვა უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარში) არსებული საინვესტიციო ვალდებულების ლარში კონვერტაცია, ხელშეკრულების გაფორმების თარიღის მდგომარეობით. აღნიშნული გულისხმობს, 8,000,000.00 (რვა მილიონი) აშშ დოლარის დაანგარიშებას ლარში, ეროვნული ვალუტის 2.9759 ნიშნულის შესაბამისად ($8,000,000.00 * 2.9759= 23,807,200.00₾), ხოლო, გაცვლითი კურსის 2.9759 ნიშნულზე კლების შემთხვევაში, საინვესტიციო ვალდებულების შესრულებულად ჩათვლას ვალდებულების შესრულების დროისთვის არსებული გაცვლითი კურსის მდგომარეობით.

დასასრულს, მომხსენებელმა დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის თხოვნის

შესაბამისად ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ შენიშვნებზე:

- პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად.
- განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას 127²-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს" (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერსგაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N-482-1-23724 ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 სექტემბრის N20.993.1241 განკარგულება.

- გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და განკარგულების პროექტის პირველ მუხლში სწორად მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 სექტემბრისN20.993.1241 განკარგულების სათაური.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**